

This file has been cleaned of potential threats.

If you confirm that the file is coming from a trusted source, you can send the following SHA-256 hash value to your admin for the original file.

ebc97912638685cc3dc01627ab76d67ac6895f3730bd502bc74326198c45e8ab

To view the reconstructed contents, please SCROLL DOWN to next page.

გზამკვლევი სტუდენტებისათვის

მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ სწავლა სურს და ეძებს სტიპენდიას



თბილისი

2018

გზამკვლევი შემუშავებულია ა(ა)იპ UNI.GE-ს მიერ პროექტის „ProGeorgia: დონორების მონაცემთა ბაზა, ტრენინგები და კონსულტაციები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში“ ფარგლებში. მონაცემთა ბაზა განთავსებულია ვებგვერდზე www.progeorgia.ge.

გზამკვლევში ასევე გამოვიყენეთ ევროკავშირის Tempus-ის პროექტის „სტუდენტთა კარიერული მომსახურების განვითარება საქართველოში“ (530566-TEMPUS-1-2012-1-LT-TEMPUS-SMGR) ფარგლებში მომზადებული სახელმძღვანელოები.

გზამკვლევის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებთ **ხათუნა ცხადაძეს**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს.

მესამე, გადამუშავებული გამოცემა



Erasmus+

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პუბლიკაციის თანადამფინანსებელია ევროკავშირის Erasmus+ პროგრამა. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

შესავალი

გზამკვლევი განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, ვისაც საზღვარგარეთ უნდა სწავლა და შესაბამის დაფინანსებას ეძებს. სტიპენდია, რომელიც საზღვარგარეთ სწავლისას სრულად ფარავს სწავლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ოპტიმალურ პირობებს გიქმნით სრულად კონცენტრირდეთ სწავლაზე და დამატებითი დრო და ენერგია არ დახარჯოთ ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე. შესაბამისად ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ როგორ უნდა მოიპოვოთ სწავლის დაფინანსება ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მეშვეობით.

არსებობს უამრავი დონორი ორგანიზაცია თუ პროგრამა, სადაც სტიპენდიის მოპოვება შეიძლება. ცხადია, ყველგან საკმაოდ დიდი კონკურსია, ასე რომ თუ დონორი ორგანიზაციის/პროგრამის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეთ, სტიპენდიის მიღება გაგიჭირდებათ. დონორის მოთხოვნები განსხვავებულია პროგრამების/კონკურსების მიხედვით, მაგრამ შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი პირობები, რომლებიც თითქმის ყველა სასტიპენდიო კონკურსის უცვლელი შემადგენელი ნაწილია:

- ✓ ბიოგრაფიული ცნობები /რეზიუმე (CV-Curriculum Vitae)
- ✓ უცხოური ენის სერტიფიკატი / ცნობა უცხოური ენის ცოდნის შესახებ
- ✓ სამოტივაციო წერილი
- ✓ ცნობა სტუდენტობის შესახებ ან უკვე მიღებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთი

რიგ შემთხვევებში:

- ✓ უკვე გავლილი საგნების ჩამონათვალი კრედიტებისა და შეფასების მითითებით (გაიცემა უნივერსიტეტის მიერ)
- ✓ ცნობა სამუშაო ადგილიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ✓ სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი პროფესორებისგან ან დამსაქმებლებისგან
- ✓ სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებს თქვენს მონაწილეობას ტრენინგებში, ოლიმპიადებში და ა.შ.
- ✓ სახელოვნებო პროფილის სტუდენტებისათვის – შემოქმედებითი პროექტი/პორტფოლიო (მაგ. კინოსიუჟეტი, მუსიკალური ჩანაწერი და ა.შ.)
- ✓ ბინადრობის მოწმობა / პიროვნების რეგისტრაციის საინფორმაციო ბარათი (გაიცემა იუსტიციის სახლის მიერ)

ქვემოთ შემოგთავაზებთ რჩევებს საბუთების სწორად შევსებისა და წარდგენისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

ზოგადი რჩევები

ძალიან მნიშვნელოვანია განაცხადის წარდგენისას დაიცვათ დონორის მიერ მითითებული პირობები და ვადები! დროის მენეჯმენტი ზოგადად ჩვენი სუსტი წერტილია 😊, ამიტომ მას შემდეგ, რაც შეარჩევთ თქვენთვის სასურველ პროგრამას, მაშინვე დაიწყეთ შესაბამისი საბუთების მომზადება/შეგროვება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა პროგრამას სხვადასხვა მოთხოვნა აქვს. ზოგადად ყველა ელის თქვენგან მაღალ აკადემიურ მოსწრებას და უცხოური ენის კარგ ცოდნას, მაგრამ ზოგ პროგრამას სპეციფიკური სტიპენდიები აქვს, მაგ.: კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეებისათვის, ეროვნული/რელიგიური უმცირესობებისათვის, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის, და ა.შ. ამ შემთხვევაში კონკრეტული სამიზნე ჯგუფის წევრობამ შეიძლება „გადაწონოს“ შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრება. ამიტომ ძალიან ყურადღებით გაეცანით დონორის მოთხოვნებს, თუ მოთხოვნებში თქვენთვის რამე გაუგებარია ან დაკონკრეტებას საჭიროებს, გადაამოწმეთ (მიწერეთ წერილი პროგრამის კოორდინატორს – როგორც წესი, დონორის ვებგვერდზე მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია).

სანამ კონკრეტული პროგრამისათვის საბუთების შეგროვებას დაიწყებთ, კიდევ ერთხელ კარგად გადახედეთ დაშვების წესებს - აკმაყოფილებთ თუ არა ყველა პირობას (eligibility criteria)?

ასევე მიაქციეთ ყურადღება, საჭიროა თუ არა დოკუმენტების ასლების ნოტარიული დამოწმება, საჭიროა თუ არა ორიგინალების გაგზავნა, საერთოდ საჭიროა თუ არა ე.წ. hard copy, თუ საკმარისია ელექტრონულად განაცხადის ატვირთვა და ა.შ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: საბუთების შეგროვებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, ასე რომ დროულად დაიწყეთ!



რას უნდა მიაქციოთ ყურადღება საბუთების შევსებისას?

გაითვალისწინეთ, რომ საკონკურსო კომისიის წევრებს უამრავი განაცხადის წაკითხვა უწევთ, ამიტომ თუ თქვენს მიერ წარდგენილი საბუთებიდან ამ კონკრეტული კონკურსისათვის საჭირო ინფორმაციის ამოკითხვა შემფასებელს გაუჭირდა, ის უბრალოდ გვერდზე გადადებს თქვენს განაცხადს. როგორც წესი, გამოცდილი შემფასებელი საბუთების პირველად შემოწმებას ერთ წუთზე ნაკლებს უთმობს.

- **ენა/მართლწერა** – ძალიან უხერხულია და კომისიის წევრთა გაღიზიანებას იწვევს წარდგენილ დოკუმენტებში დაშვებული გრამატიკული თუ სტილისტური შეცდომები. დღეს არსებული კომპიუტერული პროგრამები იძლევა ე.წ. spell check-ის საშუალებას, ასე რომ აუცილებლად გადაამოწმეთ მართლწერა, რომ ტექნიკური შეცდომები არ გაგეპაროთ. თუ არ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენი დოკუმენტები ენობრივად გამართულია, წააკითხეთ ენის კარგ მცოდნეს.
- **სტილი** – ყურადღება მიაქციეთ საბუთების სტილს. თუ დონორი ითხოვს სპეციფიკურ სტრუქტურას, ფონტს და ა.შ. აუცილებლად დაიცავით ეს მოთხოვნები. ტექსტი მარტივად უნდა იკითხებოდეს, ამიტომ 11-ზე ნაკლები ზომის შრიფტს ნუ გამოიყენებთ. თუ დონორი ითხოვს საბუთების გადაგზავნას, ამობეჭდეთ საბუთები მხოლოდ თეთრ ქაღალდზე.
- **საბუთების მოცულობა** – წერეთ მოკლედ. არავინ დაუთმობს დროს თქვენი ხუთგვერდიანი CV-ს კითხვას. სტიპენდიის მისაღებად ორი A4 ფორმატის გვერდი სრულიად საკმარისია.
- **დასათაურება** – თუ საბუთებს აგზავნით online, მაშინ ასევე მნიშვნელოვანია, თუ რას დაარქმევთ ამ საბუთებს. Doc1 და მსგავსი სახელები სრულიად დაუშვებელია – შემფასებელმა მარტივად უნდა იპოვოს თქვენი საბუთები და უნდა იცოდეს, რას კითხულობს. გამოიყენეთ შემდეგი პრინციპი: დოკუმენტის ფორმა + თქვენი სახელი და გვარი. შეგიძლიათ მხოლოდ გვარი დატოვოთ. მაგ. CV-Petre Petriashvili, Motivation Letter- Petriashvili და ა.შ. შეგიძლიათ საბუთები გაგზავნოთ Word-ის ფორმატში, მაგრამ უკეთესია pdf ფორმატის გამოყენება. იგივე ეხება დასკანირებულ საბუთებს – jpeg, png, gif ფორმატების მაგივრად გამოიყენეთ pdf.
- **ტელეფონის ნომრის** მითითებისას არ დაგავიწყდეთ საქართველოს კოდი (+995). თუ უთითებთ ქალაქის ნომერს, გააფრთხილეთ ოჯახის წევრები, რომ შესაძლოა სატელეფონო ზარი მიიღონ და სათანადოდ უპასუხონ.
- **ელ-ფოსტა** – გასაგებია, რომ ძირითადად იყენებთ პირად ელექტრონულ ფოსტას (e-mail), მაგრამ ყოველთვის ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს კორპორატიული ელ-ფოსტის გამოყენება. ანუ თუ პროფესორს შეაქვს განაცხადი გაცვლით პროგრამაზე, ნამდვილად აჯობებს, უნივერსიტეტის ელ-ფოსტა გამოიყენოს, ვიდრე hotmail, yahoo, gmail ან mail.ru. სტუდენტებს შეიძლება ეს კორპორატიული ელ-ფოსტა არ ჰქონდეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მეილი თქვენს სახელს/გვარს მოიცავდეს და არ გამოიყენოთ კნინობითი ფორმები, ისეთი, როგორც მაგალითად: ninuza1995@hotmail.com, ruska_puska@gmail.com და ა.შ. თუ საბუთებს ელ-ფოსტით აგზავნით, „Subject“-ში აუცილებლად მიუთითეთ წერილის დანიშნულება, მაგ. „Application for Scholarship Petriashvili“.
- **Cover Letter** – თქვენს მიერ წარდგენილი საბუთების სათავე ფურცელია, თუმცა რიგ შემთხვევებში, მას არ ითხოვენ, განსაკუთრებით online აპლიკაციების დროს. თუ პროგრამის მოთხოვნებში არის ნახსენები Cover Letter, მაშინ მისი სწორად დაწერა ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი განაცხადის წარმატებისათვის. სათავე ფურცელზე იწერება, თუ ვინ და რისთვის წარადგენს საბუთებს, ანუ სათავე ფურცელი თქვენს მიერ მომზადებული საკონკურსო საბუთების ერთგვარი შეჯამებაა. დოკუმენტი დაახლოებით ნახევარი გვერდი უნდა იყოს (A4 ფორმატი). მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი, დაწერეთ, რომელ კონკურსში იღებთ მონაწილეობას. აუცილებლად აღნიშნეთ, რომ მოხარული ხართ ამ დონორი

ორგანიზაციის/პროგრამის სასტიპენდიო კონკურსში მონაწილეობით. მადლობა გადაუხადეთ კომისიის წევრებს თქვენი განაცხადის შეფასებისათვის.

საბუთების მომზადებისას, ცხადია, შეგიძლიათ ისარგებლოთ ინტერნეტში არსებული მაგალითებით, მაგრამ ჩვენი დაჟინებული რჩევაა: არ გამოიყენოთ copy – paste მიდგომა! გაეცანით ინტერნეტით მოპოვებულ ნიმუშებს, მაგრამ განიხილეთ ეს, როგორც შთაგონება, და ბრმად არ გამოიყენოთ მზა ფრაზები. იმუშავეთ საკუთარ სტილზე! პლაგიატი დაუშვებელია!

ბიოგრაფიული ცნობები /რეზიუმე (CV)

- **ინფორმაციის სტრუქტურირება** – როგორც წესი, სტანდარტული CV–ს ფორმატი რამდენიმე პუნქტს მოიცავს:
 - ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ (სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია)
 - განათლება
 - შრომითი გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
 - დამატებითი ინფორმაცია (ტრენინგი, პერსონალური უნარები და სხვა)

რჩევა: თუ საგანგებოდ არაა მოთხოვნილი CV ფოტოსურათით, ნუ ჩასვამთ ფოტოსურათს თქვენს რეზიუმეში. ასევე არაა საჭირო ინფორმაცია ეთნიკურობის (ეროვნების), რელიგიური მიკუთვნების ან ოჯახური მდგომარეობის შესახებ (მაგ.: დაოჯახებული, დასაოჯახებელი და სხვა).

- **მთავარი ინფორმაცია** – გამოყავით ამ კონკრეტული პროგრამისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. წინ წამოწიეთ თქვენი ის უნარები/კვალიფიკაცია, რომელიც ამ სტიპენდიის მოპოვებისთვისაა საჭირო. ნუ გადატვირთავთ CV–ს ზედმეტი ცნობებით, რომლებიც ამ კონკრეტული პროგრამისათვის მნიშვნელოვანი არაა. მაგ. თუ თქვენ შეგაქვთ განაცხადი პოსტდოქის სტიპენდიაზე, სკოლის და თუნდაც ბაკალავრიატის ნიშნებს ამ შემთხვევაში

მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს – მიუთითეთ ინფორმაცია მხოლოდ სადოქტორო ნაშრომის შესახებ და კონკრეტული პროგრამისათვის სხვა რელევანტური ინფორმაცია.

- **ჰობი** – ნაკლებად რელევანტური ინფორმაციაა სტიპენდიის მისაღებად. გამონაკლისი – თუ თქვენი ჰობი თქვენს განსაკუთრებულ უნარებს წარმოაჩენს, მაგ. სპორტული მიღწევები, მუშაობა ბავშვებთან, მოხალისეობა და ა.შ.

ქართველი სტუდენტების უმრავლესობის პრობლემაა „**მოკლე CV**“ – ბაკალავრიატის, და ხშირად მაგისტრატურის სტუდენტთა ბიოგრაფიული მონაცემები, შემოიფარგლება ხოლმე მხოლოდ ცნობებით სკოლისა და უნივერსიტეტის შესახებ. ბიოგრაფიული ცნობების ეს სიმწირე, ცხადია, აიხსნება აპლიკანტების ასაკით, მაგრამ ამავე დროს ასახავს საქართველოში ახალგაზრდების ნაკლებ აქტიურობას მოხალისეობრივ ან სამოქალაქო საქმიანობაში. ასე რომ, თუ გინდათ, რომ კომისიის წევრებმა „დაგინახონ“, აუცილებლად მიუთითეთ პუნქტში „დამატებითი ინფორმაცია“ ცნობები იმის შესახებ, თუ ოდესმე მიგიღიათ მონაწილეობარაიმე სამოქალაქო აქტივობაში (მაგ. ეკოლოგიური ან/და ძეგლთა დაცვის მოძრაობა, სოციალურად დაუცველთა მხარდაჭერა, მოხალისეობრივი მუშაობა ბავშვთა სახლებში, გამოფენებზე, და ა.შ.).

რჩევა: ევროპელი დონორებისათვის უკეთესია გამოიყენოთ CV EUROPASS ფორმატი. საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ აქ:
<http://europass.cedefop.europa.eu/en/documents/curriculum-vitae/templates-instructions>

უცხოური ენის სერტიფიკატი / ცნობა უცხოური ენის ცოდნის შესახებ

სხვადასხვა პროგრამაზე უცხოური ენის ცოდნის მოთხოვნები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ძირითადად საერთო წესი მოქმედებს: უმაღლესი განათლების რაც უფრო მაღალ საფეხურზე აპირებთ სწავლას, მით უფრო მაღალია ენის ცოდნის მოთხოვნა.

გაცვლითი პროგრამების შემთხვევაში (მაგ. Erasmus+ International Credit Mobility) შეიძლება ენის სერტიფიკატი არ მოგთხოვონ, მაგრამ თუ გსურთ საზღვარგარეთ აკადემიური ხარისხის მიღება, ანუ სწავლის სრული კურსის გავლა, მაშინ ენის სერტიფიკატი აუცილებელია, როგორც წესი, სულ მცირე B2 დონის მაინც (*ინფორმაცია ენის ცოდნის დონეების შესახებ მოცემულია I დანართში, ხოლო ინფორმაცია სატესტო გამოცდების შესახებ- II დანართში*).

თუ თქვენ გაქვთ ენის სერტიფიკატი, მაშინ უბრალოდ მიუთითებთ ამ ინფორმაციას (ენის ცოდნის დონე, მიღებული ქულები, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაცია, სერტიფიკატის მიღების დრო). სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ, თუ რამდენი კრედიტი მიიღეთ უცხოური ენის სასწავლო პროგრამის ფარგლებში თქვენს უნივერსიტეტში და როგორი იყო თქვენი შეფასება, სასურველია ეს ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ იყოს დამოწმებული. თუ უნივერსიტეტი ვერ გაძლევთ ინფორმაციას თქვენს მიერ შესწავლილი უცხოური ენის დონის შესახებ, შეგიძლიათ გაიაროთ online ტესტირება, მაგალითად ამ ვებრესურსზე: <http://erasmusplusols.eu>.

სამოტივაციო წერილი

სამოტივაციო წერილი თქვენი აპლიკაციის მთავარი ნაწილია. ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მიიღოთ ეს სტიპენდია სწორედ თქვენ, რატომ გინდათ კონკრეტულად ამ უნივერსიტეტში ან ამ კონკრეტულ პროგრამაზე სწავლა. სხვადასხვა დონორი პროგრამა შეიძლება განსხვავებულ ინფორმაციას ითხოვდეს სამოტივაციო წერილში, მაგრამ ძირითადი მიდგომა ყველგან ერთნაირია – უნდა წარმოაჩინოთ საკუთარი თავი.

კარგი სამოტივაციო წერილის უპირველესი წინაპირობა: წინასწარ ყურადღებით უნდა გაეცნოთ იმ პროგრამას/უნივერსიტეტს, რომლისთვისაც გასურთ სტიპენდიის მოპოვება. სამოტივაციო წერილში უნდა დაასაბუთოთ სწორედ ამ პროგრამაზე/ამ უნივერსიტეტში თქვენი სწავლის სურვილი. ამიტომ დაუთმეთ დრო პროგრამის/უნივერსიტეტის ვებგვერდის შესწავლას, ასევე წაიკითხეთ ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმ ქალაქზე/ქვეყანაზე, სადაც აპირებთ წასვლას. მოიკითხეთ ამ პროგრამის კურსდამთავრებულების (alumni) აზრი (არსებობს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის facebook ჯგუფებიც, რომლებშიც გაწევრიანება შეგიძლიათ; ასევე სრულიად მისაღებია პირდაპირი წერილით მიმართოთ პოტენციურ რესპონდენტებს).

გავრცელებული შეცდომა: საკმაოდ ხშირად აპლიკანტები წერენ ერთ სამოტივაციო წერილს და მხოლოდ უნივერსიტეტის/პროგრამის სახელს ცვლიან. სამოტივაციო წერილი უნდა იყოს პერსონიფიცირებული, ანუ ფოკუსირებული კონკრეტულ პროგრამაზე/უნივერსიტეტზე/ქალაქზე და ქვეყანაზე. უნდა დაასაბუთოთ, რატომ გინდათ სწორედ ამ პროგრამის სტიპენდია.

როგორც წესი, სამოტივაციო წერილის მოცულობა ერთ A4 ფორმატის გვერდზე მეტი არ უნდა იყოს (შრიფტის ზომა 11 ან 12). უფრო ვრცელ წერილს შემფასებლები გულისყურით არ წაიკითხავენ. ტექსტი აუცილებლად დაყავით რამდენიმე აბზაცად (სასურველია, აბზაცებს შორის ერთი პწკარი დაშორებაც დატოვოთ), ასეთი ტექსტი მკითხველისთვის ბევრად უფრო ადვილი წასაკითხი და შინაარსობრივადაც უკეთ აღსაქმელია.

მოტივაციის წერილის ზედა მარჯვენა კუთხეში მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტა).

არ გაიმეოროთ სრულად თქვენი CV – გამოიყენეთ მხოლოდ რელევანტური ინფორმაცია, CV სამოტივაციო წერილის შემავსებელი დოკუმენტი უნდა იყოს.

იყავით გულწრფელი.

ნუ დაწერთ სადღეგრძელოებს.

თუ წერა გეხერხებათ, შეგიძლიათ, იყოთ თამამი, ნუ შეგეშინდებათ იუმორის, აზრის თავისუფლად გამოთქმის. კარგად დაწერილი, ორიგინალური, გაბედული, გულწრფელი სამოტივაციო წერილი ყოველთვის იპყრობს შემფასებლის ყურადღებას და აღუძრავს მას ცნობისმოყვარეობას, რადგან ეს ის

თვისებებია, რომლებიც კვლევის, კრიტიკული აზროვნების უნარზე მიაწინებს ადამიანში. თუმცა, თუ ეს თქვენი სტილი არ არის, არ იფიქროთ, რომ „იუმორის გამოვლენა სავალდებულოა“. ორიგინალურობას ნუ აიძულებთ საკუთარ თავს.

რჩევა: ერიდეთ საკუთარი პოლიტიკური და/ან რელიგიური, ეთნიკური და სხვა პრეფერენციების, კმაყოფილება-უკმაყოფილებისა თუ სიმპატია-ანტიპათიის რამე სახით გაჟღერებას თქვენს სააპლიკაციო დოკუმენტებშიც და გასაუბრებაზეც, მითუმეტეს, თუ ეს ყველაფერი თქვენს პროექტთან დაკავშირებული არაა.

თუ ეწევით პოლიტიკურ საქმიანობას (ხართ რომელიმე პარტიის წევრი, აქტიური მხარდამჭერი ან სხვა), ცხადია, შეგიძლიათ ამ საკითხზე ისაუბროთ, თან თუ ეს საქმიანობა თქვენი სწავლის პროექტთან კავშირშია. მაგრამ გახსოვდეთ, საუბრობთ საკუთარ მოსაზრებებზე, იდეალებზე. არ დაგავიწყდეთ, რომ წუწუნი და ლანძღვა მიუღებელია 😊.

ხაზი გაუსვით თქვენს შესაბამისობას/შესაფერისობას ამ პროგრამისათვის.

მთავარი ინფორმაცია, რომელსაც სამოტივაციო წერილი უნდა შეიცავდეს:

- რატომ ეს პროგრამა?
- რატომ მე?
- როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას/გამოცდილებას პროგრამის დასრულების შემდეგ?

ცნობა სტუდენტობის შესახებ / უკვე მიღებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთი და ნიშნების ფურცელი

თუ თქვენ უკვე დასრულებული გაქვთ უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხური, მაშინ უნდა წარადგინოთ თქვენი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი. საქართველოში დადგენილი დიპლომის და მისი დანართის ფორმა ორენოვანია (ქართული და ინგლისური), ასე რომ თარგმანი აღარ დაგჭირდებათ.

თუ თქვენ მოკლევადიან გაცვლით პროგრამაზე შეგაქვთ განაცხადი, მაშინ

- აუცილებლად უნდა წარადგინოთ ცნობა, რომ კონკრეტულ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხებით. ასეთ ცნობას გასცემს თქვენი სასწავლებლის კანცელარია ან აკადემიური დეპარტამენტი;
- ცნობას თან უნდა ერთვოდეს თქვენს მიერ უკვე გავლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მიღებული შეფასებები;
- ცნობაში ახსნილი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული შეფასების სისტემა, რათა მიმღებმა მხარემ შეძლოს თქვენი აკადემიური მოსწრების სათანადოდ გაგება.

აუცილებლად გაარკვიეთ, ითხოვს თუ არა დონორი ცნობის თარგმანის ნოტარიალურ დამოწმებას, თუ თარგმანის უნივერსიტეტის ბეჭდით დადასტურებას სჯერდება.

ძალიან ბევრი ქართული უნივერსიტეტი მსგავს ცნობებს ავტომატურად გასცემს და ასევე ავტომატურად უთითებს ე.წ. GPA-ს. GPA (Grade Point Average) არის სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასების სტანდარტიზებული მეთოდი და მისი გამოთვლისას იყენებენ ცალკეულ საგნებში მიღებულ ნიშნებს და ამ საგნების კრედიტების ოდენობას. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია GPA-ს ოთხქულიანი სისტემა. ზოგიერთი დონორი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში პირდაპირ უთითებს, რომ მაგალითად სამზე ნაკლები GPA-ს მქონე კანდიდატები კონკურსში არ დაიშვებიან. ბოლო დროს იზრდება GPA-ს კრიტიკა და ზოგი დონორი ითხოვს ამ მაჩვენებლის დაანგარიშებას მხოლოდ კონკრეტული სასწავლო პროგრამისათვის რელევანტურ საგნებში – მაგალითად, თუ კონკურსი მათემატიკის პროგრამაზე სტიპენდიის მიღებისთვისაა გამოცხადებული, შეიძლება დონორმა მხედველობაში მიიღოს თქვენი ნიშნები მათემატიკასა და მონათესავე საგნებში, და უგულებელყოს მეორადი სპეციალობის (ე.წ. minor) საგნების ნიშნები. ნებისმიერ შემთხვევაში მაღალი აკადემიური მოსწრება, და შესაბამისად მაღალი GPA ზრდის სასტიპენდიო კონკურსში გამარჯვების შანსებს. მაგრამ ამავე დროს გახსოვდეთ, რომ ყველა პროგრამას თავისი სპეციფიკა აქვს და თუ თქვენი GPA არც ისე მაღალია, შეეცადეთ სამოტივაციო წერილში ახსნათ ამის მიზეზები და დაარწმუნოთ დონორი, რომ სტიპენდიის მიღებისას უკეთეს შედეგს აჩვენებთ.

სარეკომენდაციო წერილი

სარეკომენდაციო წერილი საქართველოში ხშირად განიხილება, როგორც განაცხადის სავალდებულო, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანი, ფორმალური დამატება. სინამდვილეში საერთაშორისო დონორები რეკომენდაციას დიდ ყურადღებას აქცევენ. ასე რომ მნიშვნელოვანია, თუ რა წერია სარეკომენდაციო წერილში და ვის მიერაა ის დაწერილი.

პიროვნება, ვინც გიწევთ რეკომენდაციას საზღვარგარეთ სწავლებასა და სტიპენდიის მიღებაზე, უნდა გიცნობდეთ. უფრო მეტიც, თქვენი ურთიერთობა „მომველებული“ არ უნდა იყოს: ანუ თუ თქვენ განაცხადს სადოქტორო სტიპენდიაზე წარადგენთ, და რეკომენდატორი თქვენი ბაკალავრიატის პირველი სემესტრის ლექტორია, სჯობს ასეთ რეკომენდაციაზე უარი თქვათ.

თუ ძველ სარეკომენდაციო წერილს იყენებთ, რომელსაც თარიღი არ აწერია და შეგიძლიათ, ყოველთვის გამოიყენოთ, აუცილებლად გააფრთხილეთ რეკომენდატორი ამის შესახებ. შეახსენეთ თავი, სთხოვეთ ნებართვა, გადაამოწმეთ საკონტაქტო ინფორმაცია.

რეკომენდატორი ასევე უნდა გააფრთხილოთ, რომ რიგ შემთხვევებში მათ მხოლოდ წერილის დაწერა / ხელმოწერა კი არა, არამედ მისი გადაგზავნაც ევალებათ: ზოგი სასტიპენდიო პროგრამის ვებგვერდი აპლიკაციის შევსებისას ითხოვს რეკომენდატორის ელ-ფოსტას (და არა თავად სარეკომენდაციო წერილს), შემდეგ უკავშირდება მას და უშუალოდ რეკომენდატორისგან ელის წერილის გადაგზავნას.

სარეკომენდაციო წერილი აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რეკომენდატორის სახელი, გვარი, (აკადემიური) წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტა და სამსახურის ტელეფონი. თუ უთითებთ მის მობილური ტელეფონის ნომერს, აუცილებლად აიღეთ ამის ნებართვა. საკონტაქტო ინფორმაციის მითითება ძალიან მნიშვნელოვანია – ზოგი დონორი უკავშირდება რეკომენდატორებს ინფორმაციის გადაამოწმების და/ან დაზუსტების მიზნით.

როგორც წესი, რეკომენდატორებად ირჩევენ პროფესორს უნივერსიტეტიდან და დამსაქმებელს – პირველმა უნდა წარმოაჩინოს თქვენი, როგორც სტუდენტის, ხოლო მეორემ – თქვენი, როგორც თანამშრომლის თვისებები. თუ სამუშაო გამოცდილება არ გაქვთ, მაშინ მეორე რეკომენდატორი (თუ კონკურსის პირობების მიხედვით ორი რეკომენდაციაა საჭირო) კიდევ ერთი პროფესორი შეიძლება იყოს. თუ გაქვთ სამოქალაქო აქტივობის გამოცდილება, მაშინ აჯობებს, მეორე რეკომენდატორად ისეთი პიროვნება შეარჩიოთ, რომელიც თქვენს ამ მხარეს იცნობს და სათანადოდ აღწერს.

რეკომენდატორის შერჩევას ყურადღება უნდა მიაქციოთ მის რეპუტაციას. უცხოური სტიპენდიის მიღებისათვის ყოველთვის სჯობს, რეკომენდაცია ისეთ პროფესორს მოსთხოვოთ, რომელსაც თავად აქვს საერთაშორისო გამოცდილება.

რეკომენდაციაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი ასპექტები:

- საიდან და რამდენი ხანია გიცნობთ რეკომენდატორი?

- როგორ აფასებს ის თქვენს სწავლას/მუშაობას/მოხალისეობას?
- თქვენი რომელი თვისებები მიაჩნია რეკომენდატორს მნიშვნელოვანი სტიპენდიის მიღებისათვის?

ჩვენს სინამდვილეში არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სარეკომენდაციო წერილებს თავად აპლიკანტები წერენ, რეკომენდატორები უკვე გამზადებულ წერილს აწერენ ხელს და ამას მოუცვლელობით ხსნიან. ხანდახან პროფესორებს უკვე მზა რეკომენდაციები აქვთ და ყველა სტუდენტს ერთ, სტანდარტულ რეკომენდაციას აძლევენ. ეს სრულიად მიუღებელია, სარეკომენდაციო წერილი პერსონალური უნდა იყოს. მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არაა, და რეკომენდაციის დაწერა თავად გიწევთ, იმაში მაინც დარწმუნდით, რომ რეკომენდატორმა წერილი წაიკითხოს და იცოდეს, რას აწერს ხელს.

გასაუბრება

გასაუბრება სასტიპენდიო პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ზოგი დონორი გადაწყვეტილებას გასაუბრების გარეშე, მხოლოდ საბუთებზე დაყრდნობით იღებს. გასაუბრებაზე მიწვევა ნიშნავს, რომ დონორი ორგანიზაცია თქვენი განაცხადით დაინტერესდა და თქვენ შერჩევის პირველი ეტაპი წარმატებით გადალახეთ. როგორც წესი, გასაუბრებას 15–20 წუთს უთმობენ, ასე რომ სერიოზულად უნდა მოემზადოთ იმისათვის, რომ დროის ამ მოკლე მონაკვეთში საკუთარი თავი სრულად წარმოაჩინოთ. გასაუბრებაზეა დამოკიდებული, განუმტკიცდება თუ არა კომისიას დადებითი შთაბეჭდილება თქვენზე და მიიღებთ თუ არა სასურველ დაფინანსებას.

არსებობს გასაუბრების რამდენიმე ფორმა:

პირისპირ გასაუბრება

- პუნქტუალობა – არ დააგვიანოთ გასაუბრებაზე!
- დაამყარეთ ვიზუალური კონტაქტი კომისიის წევრებთან;
- გაიღიმეთ;
- თან ყოველი შემთხვევისათვის იქონიეთ თქვენი საბუთების (CV, სამოტივაციო წერილი, დიპლომის ასლი და ა.შ.) რამდენიმე ეგზემპლარი;
- მოემზადეთ ინტერვიუსათვის – კიდევ ერთხელ გადახედეთ ინფორმაციას პროგრამის/უნივერსიტეტის შესახებ, გადახედეთ თქვენს საბუთებს – ინტერვიუს დროს მიწოდებული ინფორმაცია უნდა ემთხვეოდეს სამოტივაციო წერილში დაფიქსირებულ ინფორმაციას;
- მოამზადეთ პასუხები გასაუბრების „სტანდარტულ“ კითხვებზე:
 - მოგვიყევით თქვენს შესახებ

- რა არის თქვენი სუსტი და ძლიერი მხარეები?
- სად ხედავთ თქვენ თავს ხუთ ან ათ წელიწადში?
- რატომ გგონიათ, რომ სწორედ თქვენ იმსახურებთ ამ სტიპენდიას?

სატელეფონო გასაუბრება

სატელეფონო გასაუბრების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ არ გჭირდებათ თქვენს გარეგნობაზე განსაკუთრებული ზრუნვა.

მაგრამ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ სატელეფონო საუბარს ხელი არავინ შეუშალოს, უზრუნველყავით წყნარი ადგილი. ტელეფონი დატენილი უნდა იყოს.

Skype გასაუბრება

Skype გასაუბრება პირისპირ გასაუბრებისგან დიდად არ განსხვავდება. მთავარი რჩევა: ყურადღება მიაქციეთ იმ ფონს, რომელიც კამერაში გამოჩნდება. უყურეთ კამერას, და არა კომპიუტერის ეკრანს. თუ გასაუბრების მომენტში მართლ არ ხართ, გააფრთხილეთ ოთახში მყოფი სხვა პირები, რომ ხმაურისგან და კადრში გამოჩენისგან თავი შეიკავონ.

სასარგებლო ვებრესურსები

- <http://www.scholarshipportal.com/articles/305/what-do-i-need-for-a-scholarship-application.html>
- <http://europass.cedefop.europa.eu/en/documents/curriculum-vitae/templates-instructions>
- <http://www.kent.ac.uk/careers/cv.htm>
- <http://www.jobsite.co.uk/worklife/write-a-cv-that-works-10159/>
- <http://www.scholarshipexperts.com/blog/scholarship-applications/5-tips-successful-scholarship-interviews>
- <http://www.scholarshipexperts.com/blog/scholarship-applications/answer-common-scholarship-interview-questions>
- http://www.supercollege.com/guide/guide.cfm?t_id=6&g_id=22&step=1
- <http://www.gocollege.com/financial-aid/scholarships/apply/interviews.html>
- https://www.youtube.com/watch?v=DHDjrj0_bMQ0
- <http://expd.uw.edu/scholarships/why-apply/preparing-for-interviews/>
- <http://career-advice.monster.com/job-interview/interview-preparation/mastering-the-phone-interview/article.aspx>
- <http://www.forbes.com/sites/learnvest/2013/10/23/6-steps-to-nailing-a-job-interview-over-the-phone/>
- http://www.job-hunt.org/job_interviews/telephone-interviews.shtml
- <http://ask.metafilter.com/157416/Phone-interview-for-a-scholarship>
- <http://iec.gov.ge/>

I დანართი

COMMON EUROPEAN FRAMEWORK OF REFERENCE FOR LANGUAGES –

ენის ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩო

ევროსაბჭოს საგანმანათლებლო ენობრივი პოლიტიკის დეპარტამენტმა და უცხოური ენების განყოფილებამ უცხოური ენების სწავლა/სწავლებისა და შეფასებისათვის შეადგინა და გამოსცა საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო. ამ ჩარჩოს მიზანია, შექმნას წევრ-ქვეყნებისათვის საერთობაზა ენის ცოდნის დონის განსასაზღვრად და ხელი შეუწყოს მასწავლებლების, პროგრამების შემდგენლების, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციებისა და უცხოური ენების სწავლების ადმინისტრატორების შეთანხმებულ მოქმედებას.

სარეკომენდაციო ჩარჩო განსაზღვრავს ენის ცოდნის 3 ძირითად დონეს, და თითოეული კიდევ ორ-ორ განშტოებად იყოფა:

- A – ძირითადი მომხმარებელი (ენის ელემენტარული ცოდნა)
 - A1 (გასაღები)
 - A2 (საფუძველი)
- B – დამოუკიდებელი მომხმარებელი (ენის კარგი ფლობა)
 - B1 (ზღვრული)
 - B2 (ზღვრული განვითარებული)
- C – სპეციალისტი (ენის თავისუფალი ფლობა)
 - C1 (მაღალი)
 - C2 (სრულყოფილი)

წყაროები:

www.mes.gov.ge/uploads/gegmebi/ucxouri_enebi.doc

http://www.coe.int/t/dg4/linguistic/source/framework_en.pdf

II დანართი

უცხოური ენის სერტიფიკატები

უცხოურ ენებში საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერტიფიკატის მიღება საქართველოში შესაბამის საგამოცდო ცენტრებშია შესაძლებელი:

- ინგლისური ენა – ბრიტანეთის საბჭო საქართველოში <http://www.britishcouncil.ge/en/exam/ielts>
- გერმანული ენა - თბილისის გოეთეს ინსტიტუტი www.goethe.de/ins/ge/de/tif.html
- ფრანგული ენა – საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი <http://www.institutfrancais.ge>
- იტალიური ენა – დანტე ალეგიერის საზოგადოება <https://dantetbilisi.wordpress.com> და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, იტალიური ფილოლოგიის მიმართულება <https://www.tsu.ge>
- ესპანური ენა – DELE-ს გამოცდისათვის მზადებას აწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი <http://www.iliauni.edu.ge>

იქიდან გამომდინარე, რომ ქართველ სტუდენტთა ძირითადი ნაკადი ინგლისურენოვან პროგრამებზე აბარებს, დაწვრილებით განვიხილავთ სწორედ ინგლისური ენის სასერტიფიკატო გამოცდებს.

ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია ინგლისური ენის ორი სატესტო სისტემა: IELTS და TOEFL.

IELTS – International English Language Testing System (<http://www.ielts.org>) ინგლისური ენის ტესტირების საერთაშორისო სისტემაა, რომელიც ძირითადად ბრიტანეთში სწავლის მსურველებისთვისაა შემუშავებული. სწავლის მიზნებისათვის უნდა ჩააბაროთ Academic IELTS. ტესტი ოთხნაწილიანია (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი), ქულების მაქსიმალური რაოდენობა ტესტის თითოეული ნაწილისათვის – 9, უნივერსიტეტები, როგორც წესი, ითხოვენ 6–7 ქულას (რაც ენის ცოდნის B2 – C2 დონეებს შეესაბამება), თუმცა მოთხოვნები განსხვავებულია პროგრამების/კონკურსების მიხედვით.

გამოცდის გადასახადი საქართველოში 440 ლარია (2018 წლის მონაცემები). ტესტირება ტარდება მხოლოდ თბილისში.

TOEFL - Test of English as a Foreign Language (<http://www.ets.org/toefl>) – ინგლისური ენის ტესტირების საერთაშორისო სისტემაა, რომელიც ძირითადად აშშ-ში სწავლის მსურველებისთვისაა შემუშავებული. ტესტი აქაც ოთხნაწილიანია (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი).

გამოცდის გადასახადია 180 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (2018 წლის მონაცემები). ტესტირება ტარდება თბილისსა და ბათუმში.

IELTS VS TOEFL

ენის ტესტი	IELTS	TOEFL
ტესტის ფორმატი	ოთხი ნაწილი	ოთხი ნაწილი
ქულები	9	120, თითო ნაწილში – 30
სტანდარტული მოთხოვნა	6–7	90–110
ტესტის ჩატარების ადგილი	თბილისი	თბილისი, ბათუმი
ტესტის ჩატარების ვადები	თვეში ერთხელ	თვეში ორჯერ
საფასური (2018წლის მონაცემები)	440 ლარი*	180 აშშ დოლარი*
ვადა	ჩაბარებიდან ორი წელი	ჩაბარებიდან ორი წელი

* 2018 წლის მონაცემები